სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება

გორი

2017 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს დებულება განსაზღვრავს სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის (შემდგომში – აკადემია) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის (შემდგომში – სამსახური) უფლებამოსილებასა და ანგარიშვალდებულებას.

2. სამსახური არის აკადემიის ძირითადი სტრუქტურული ერთეული - მართვის ორგანო.

3. სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის, აკადემიის წესდების, წინამდებარე დებულებისა და რექტორის ბრძანებების შესაბამისად.

4. თავისი ფუნქციების განხორციელებისას სამსახური ანგარიშვალდებულია აკადემიის რექტორის წინაშე.

მუხლი 2. სამსახურის ფუნქციები

1. სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით აკადემიაში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

2. სამსახურის ფუნქციებია:

ა) აკადემიის სასწავლო და სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობის შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება მისი სრულყოფის მიზნით;

ბ) აკადემიის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცედურებისათვის მომზადება;

გ) სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა;

დ) ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და პროცედურების, სწავლებისა და კვლევის შეფასების წესის შემუშავება;

ე) თანამშრომლობა საზღვარგარეთის ქვეყნების სამხედრო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად;

ვ) აკადემიის მიერ განხორციელებული საბაკალავრო, სამაგისტრო, ოფიცერთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავება და მათ საფუძველზე სისტემატური ტექნიკური მონიტორინგის ორგანიზება, მათ შორის, ქართველ და უცხოელ ექსპერტებთან თანამშრომლობით;

ზ) რეკომენდაციების შემუშავება საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა თაობაზე;

თ) მონაწილეობა აკადემიური/მოწვეული/მასწავლებელთა პერსონალის და სამხედრო ინსტრუქტორებისა და მსმენელების კითხვარების შემუშავებაში და კითხვარის ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება აკადემიის საქმიანობის შემდგომი სრულყოფის მიზნით;

ი) მონაწილეობა კურსდამთავრებულთა დიპლომის დანართების მონიტორინგის პროცესში;

კ) კონფერენციების, ტრენინგების, სემინარების, საკონსულტაციო და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება აკადემიის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის ბოლონიის პროცესთან, კურიკულუმის შემუშავებასთან, ავტორიზაციასა და აკრედიტაციასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე;

ლ) ავტორიზაციისა და აკრედიტაციის თვითშეფასების კითხვარის და თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციის მომზადების ორგანიზება;

მ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

მუხლი 3. სამსახურის ხელმძღვანელობა

1. სამსახურს ხელმძღვანელობს აკადემიის ადმინისტრაციული თანამდებობის პირი - აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, რომელსაც ირჩევს აკადემიური საბჭო.

2. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევამდე, რექტორის წარდგინებით ნიშნავს - ადმინისტრაციის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს.

მუხლი 4. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

ამ დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება მიმღები ორგანოს გადაწყვეტილებით.